# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 492

დამატების № 88

კვირა, 31 იანვარი 1916 წ.


## ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო.

ელის. ჩერქეზიშვილი.

სხვა და სხვა როლში.



„ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ" (ელისაბედი)!



ელ. ჩერქეზიშვილის უკანასკნელი სურათი.



„სამოცი წლის არშიყი" (ხორეშანი).

## ფარვანა და კანდელი

და ვწერდი თუ: რო'ს ბულბული ბულბულობდა ბაღში წყნარა—
ვით დასტუქსა თეთრმა ვარდმა, აჲა ვით არ შეუწყნარა;
და ვწერდი თუ: შემდგომ იგი ვით ემსხვერპლა ტრფობის იჭვებს,
ვით გადადნა თავის ხმებში, ვით აეცვა ვარდის ხიჭვებს;
და ვწერდი თუ: წითელ ვარდმა, შენ რომ აგრე შეგიყვარა,
არ მოსტყუვდე—ის თეთრია, მხოლოდ სისხლით შეისვარა!

და ჯერ არც კი დამეთავა მე ეს ლექსი ეხლანდელი,
რომ მეწვია ღლის ფარვანა, გადაჰკოცნა ეს კანდელი...
და საბრალო,—წუთის წინად საქორწილოდ მომღიმარი,—
დაეხვია ელამ შუქსა მომწვარი და მოცამხმარი.
და დაიწვა ღლის ფარვანა, ღლის ფარვანა ოქროს ფრთებით,
და... მას შემდეგ ეს კანდელიც მუდამ ცრემლად ილვენთება!

ი. გრიშაშვილი.



„სამოცი წლის არშიყი“,
(ოსი-მათალი).



ელ. ჩერქეზიშვილი ახალგაზრდობაში
სურათი გადაღებულია 1886 წელში როდესაც იგი პირველად გამოვიდა სცენაზე.



„უნდა გავიყარნეთ“
(გუგუშვილის ცოლი).

# უბედურება

სურ. 1 მოქმედ.

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| მაია. | სერაპიონი. |
| ტუფია. | სეფე. |
| ნატალია. | ილია. |
| პავლია. | ნიკო. |
| ამირანა. | პატარა ბიჭი. |
| ლომინა. | ანტონა. |
| ვასილა. | გლეხები: მამაკაცები და დედაკაცები. |
| რომანოზა. | |

**მოქმედება პირველი.**

ანტონას ეზო. მარცხნით ისლით დახურული სახლის წინ სიღრმეში დიდი ხე, რომლის ძირთან დასაჯდომი ქვებია. მარცხნით ყორე და წკნელის ჭიშკარი. ყორეს გადაღმა სოფლის გზა.

**გამოსვლა 1.**

**მაია.** (სახლის წინ ფოთარობს. დაინახავს რა ჭიშკართან მომდგარ **ილიას**, გაექანება ჭიშკრის გასაღებად) ჩემო ბატონო!.. ჩემო სინათლევ!.. რა დეინახა ეს ჩემმა თვალებმა, რა დეინახა?! რა კაი დღე გამთენებია!.. მობრძანდი, ჩემო ბატონო, მობრძანდი, შენი ჭირიმე!..

**ილია.** (ყავარჯენითაა) გაგაკვირვე მაია?.. ა, ძალიან გაგაკვირვე, არა?

**მაია.** უფრო გამახარე, ჩემო ბატონო!.. უფრო გამახარე... შენ იხარე ათას წელიწადს!

**ილია.** (ჯდება ხის ძირს) არა მკითხავ ახლა, მაია, რამ ამაყენა და ფეხებ დამტვრეულ კაცს ამოდენა გზა გამომარონია?

**მაია.** ^აკი კარგად გხედავ—ამბავიც კარგი იქნება, ჩემო ბატონო!

**ილია.** გული მიწუხს, მაია!.. გული მიწუხს!..

**მაია.** გული შენ მტერს შეჰწუხებია, ჩემო ბატონო! რატომ, ჩემო ბატონო, რატომ, ჩემო სინათლევ?!

**ილია.** ასე კია და, ჩემო მაია!.. მა რა იქნება, როცა ყოველი მხრიდან მარტო მწუხარება გესმის!.. ყველასაგან მარტო ჩივილს თუ გაიგონებ თ`ვის უსაშვალობაზედ, თავის გაჭირვებაზედ!.. ვისაც შეხვდები, თავის გამწარებულ ცხოვრების ამბავს თუ მოგიყვება, თორემ მხიარულ სიტყვას იშვიათად თუ ვისმესგან გაიგონებ!.. ყველა წუხს, ყველა დაღონებულია, ბედის მომჩივანია!.. მეც რომ ასე დაჩაგრული შევიქენი, დავარდნილი... ამაების გაგონება სრულიად მისპობს სიცოცხლის ყოველივე ხალისს!.. ასე მეჩვენება, თითქოს ქვეყანაზე მწუხარების მეტი არა იყოს რა!.. ყველაფერი უხალისო, უფერული, ჩამობნელე`ული მეხატება...

**მაია.** რატომ, ჩემო ბატონო!.. რატომ, ჩემო სინათლევ?!

**ილია.** ასეა, ასე, ჩემო მაია! გულს შემომაწვა, შევწუხდი, ველარ გავძელი სახლში და გადავწყვიტე, რაცრომ გამიჭირდეს მეთქი, ეზოს გადაღმა გადავალ მეთქი... ეგებ სხვაგან არც ისე უხალისო და შეწუხებული იყვეს მეთქი ყველაფერი, როგორც მე მეჩვენება... ეგებ ჩემს ეზოს გადაღმა ხალხის დანახვამ გული გახსნას, გაახალისოს!.. ამან ამაღებია ხელში ეს ყავარჯენი, ამან გამომარონია ამხელა გზა და გულდამწუხრებული მომიყვანა ჩემს მკურნალთან!..

**მაია.** ეჰ, ჩემო ბატონო! მწუხარება და გაჭირვება არავის გვაკლია, მაგრამ გულმაგრად უნდა ვიყვეთ მაინც!.. თუ ვიმწუხარეთ, ვიჯავრეთ მარტო, სულ წავხდებით! თქვენ უფრო მეტი გულმაგრობა გმართებთ: ნამყოფი და განათლებული ბრძანდებით!.. ჩვენზე უფრო მეტ გამწარებაში და გაჭირვებაში იქნება ვინმე?—მარა ასე თუ ისე ვუძლებთ... ვუძლებთ, ჩემო სინათლევ!

ილია. ნეტავი თქვენ, მე კი ეს არის ყოველ იმედ დაკარგული შევიქნე, იმედ მომსპარი!.. უკეთეს ცხოვრებას ვეძებდი და ეს შევიძინე. (ყავარჯნებზე).

**მაია.** იმედ დაკარგულად მტერი გიმყოფოს, ჩემო ბატონო, მტერი!.. იმედიანად ყოფნა ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!.. იმედით ვართ ყველა, შენი ჭირიმე, იმედით, თვარა რა გვეშველებოდა!

**ილია.** იმედი... იმედი!!

**მაია.** კი, ჩემო ბატონო, კი!.. იმედი და თან მოთმინება, შენი ჭირი შემეყაროს!

**ილია.** იმედი და მოთმინება, აჰ?!

**მაია.** კი, ბატონო კი!.. ამით ვუძლებთ ჩვენს ცხოვრებას ჩვენისთანა საწყალი ხალხი... ამით გაგვაქვს ეს წუთისოფელი... სხვა რა საშვალება მოგვცენახება... და გვშველის კიდეც!.. მაპატიე ჩემი სისულელე, მაგრამ შენც ასე უნდა მოიქცე!.. ბევრი მოგითმენია, კიდევ მოითმინე და ღმერთი და შენი სალოცავი კარგად გამყოფ



„ღალატი“ პეტროგრადის თეატრში: 1) სცენა პირველი მოქმედებიდან (რუქაიას ზღაპარი) 2) მეორე მოქმედება. ოთარ-ბეგის სასახლეში. 3) მეხუთე მოქმედების უკანასკნელი სცენა.



პოლკ. თავ. ლევან მამაცაშვილი
(მოკლულია)



პრაპ. ფილიპე ჟორჟოლიანი
(მოკლულია)



პოდპ. ალექსანდრე არსენაშვილი (მოკლულია).



პორ. იოსებ ნაცვლიშვილი
(მოკლულია).



კაპიტანი მიხეილ აღნიაშვილი
(დაჭრილია, ტყვედაა წაყვანილი გერმანიაში)



ექიმი ვლადიმერ სიჭინავა
(ტიფით გარდაიცვალა)

**ილია.** მაშ ასე, მაია! მოთმინება და იმედი?.. მოთმინება და იმედიანად ყოფნა!.. ა!..

**მაია.** სწორეთ!

**ილია.** კი, მარა ამ მოთმინებასაც, მაია, კარგი მოთმინება რო ჭირია?!

**მაია.** რა ვქნათ... კარგათ მოვითმინოთ, შენი ჭირიმე! კარგათ მოვითმინოთ! ვინ იცის, საწინაოთ რა მოგველის? დღეს ვწუხვართ... ხვალ ეგება მხიარული დღე გვითენდება, ვინ იცის!.. დღეს ვწუხვართ, შეიძლება ხვალ სამხიარულო გვემზადებოდეს!.. ყველაფერი მოსალოდნელია... გულს ნუ გავიტეხავთ... იმედს ნუ დავკარგავთ!..

**ილია.** კარგია, ვისაც ეგ შეუძლია, ჩემო მაია!

**მაია.** უნდა შევიძლოთ... კი, ჩემო სინათლევ!.. ჩვენ ყოველნაირ სისაწყლეში და უბედურებაში!.. ამით ვუძლებთ, შენ გენაცვალე!. ვუძლებთ და ისე ვართ თითქო არაფერი სიმწარე გვახლდეს!.. გული არ უნდა გეიტეხო და ყველაფერს ვძლევთ!..

**ილია.** კაი დაგემართოს!.. მარა ეს შენი იმედები კარგა ხანია მესმის, ჩემო მაია, და ამ ჩემ დამსხვრეულ-დამტვრეულ ფეხებს კი არაფერი წაადგა!.. მოთმინებაც არ დამიკლია, იმედიც დიდი მქონია, რომ ფეხზე დამაყენებდი, მაგრამ, ა... ისევ ამ ჯოხებით დავდივარ.. ფუჭი ხდება ყველაფერი!..

**მაია.** კიდევ მოთმინება, ჩემო სინათლევ, კიდევ მოთმინება!

**ილია.** ჰო?

**მაია.** ცუდი გაზაფხული გვქონდა, შენ გენაცვალე... ვერაფერმა ნაყოფმა ვერ იხეირა, ძალა ვერ გამოიტანა დედომიწიდან, სუსტი გამოდგა, თვარა ჩემი ბალახებით რამდენი და რანაირი ავადმყოფი არ მომირჩენია!!! დღეის ამბავი ქე მოვითმინოთ, ხვალინდელ დღეზე იმედით ვიყვეთ... ღმერთი უკეთესს გაზაფხულს შეგვასწრებს და ყველას შუბლი გაგვეხსნება... ყველას გვეშველება და შენც, ჩემო ბატონო, ჩემო სინათლევ!.. ღმერთი ისე არ დატოვებს მისგან გაჩენილს!

**ილია.** მოვესწრებით კი ამისთანა კაი გაზაფხულს!..

**მაია.** კი მოვესწრებით, ბატონო, კი!.. კი მოვესწრებით!.. ღმერთი ყველაფერს მოგასწრებს... ავსაც და თან კარგსაც, ჩემო ბატონო!..

**ილია.** ოღონდ იმედით ვიყოთ?!

**მაია.** ოღონდ იმედით ვიყოთ!

**ილია.** ასე რომ, მაია ჩემო, პირველი წამალი იმედი და მოთმინება ყოფილა, ა?!

**მაია.** სწორედ!.. სწორედ!

**ილია.** სწორედ რომ ნამდვილი მკურნალი ხარ, მაია! თუ შენი ბალახებით ვერ არჩენ ჩემს სხეულს, შენი ემაგ სიტყვით... შენი ემაგ ნათქვამის კილოთი, უნდა გითხრა, სწორედ კურნავ ჩემისთანა გულდამწუხრებულს და აი ამიტომაც მიყვარს შენთან მუსაიფი და ლაპარაკი და ამიტომაც არ შემცდარვარ როცა გულ შეწუხებულმა შენსკენ გამოვსწიე... რომ გამეგონა შენი ეს საუცხოვო ეს მოთმინება და იმედი!

**მაია.** კი, ბატონო, კი!.. მოთმინება და იმედი!!

**ილია.** იცოცხლე, იცოცხლე, მაია! მართალი ხარ, მართალი, მე და ჩემმა ღმერთმა! შენი დარიგება, დარიგება კი არა, ნამდვილი წამალია!.. იცოცხლე, ჩემო მაია! მაშ ასე, ჩემო კარგო მაია, მოთმინება და იმედი!.. მოთმინება და იმედი!..

**მაია.** კი, ბატონო, კი!.. შენი ჭირი შემეყაროს!..

**გამოსვლა 2.**

იგივე და ტუფია.

**ტუფია.** (ჭიშკართან მომდგარი ფიჩხით მხარზე) ნატალია, ნატალია, შე დაწყევლილო!.. შე შეჩვენებულო!.. გამოიხედე, გამოიხედე, შე თვალდამდგარო!.. მოვკვდი, აღარა ვარ მეტი!.. გააღე ეს დასაწვავი!.. ნატალია!..

**მაია.** (სახლისკენ) ნატალია, გახედე, შვილო... დედა შენია ჭიშკართან! (ნატალია გამოვარდება და მიირბენს ჭიშკართან გასაღებად).

**ტუფია.** ჩეიკეტებით, სასიკვდილე!.. რა გაქვთ ჩასაკეტი!.. გავწყდი წელში... მაყურყუტეთ!.. მოგესპოთ სიცოცხლე!

**ნატალია.** სტუმარია, დედა!

**ტუფია.** (გადმოხურულში დაჰყრის ფიჩხს) უი მე!.. ღმერთო, მომკალი!.. მაპატიეთ უზრდელობა... ასე მხეცივით მოვარდი... ვერ დაგინახეთ!..

**ილია.** რა ბოდიშს იხდი, ტუფია!..

**ტუფია.** თავს ველარ ვერევი, ჩემო ბატონო!.. სულ მწუხარებაში, სულ უბედურებაში ყოფნამ გული დაასუსტა, ჩემო ბატონო, და ჭკუაც...

**ილია.** რატომ, შე ქალო, მერე!.. დედამთილი აგერ გვერდით გყავს, რომელმაც მაგის საწინაალმდეგო მშვენიერი წამალი იცის!..

**ტუფია.** რა წამალი, ბატონო?! რაა ამის წამალი!..

**ილია.** რა და მოთმინება... მოთმინება და იმედით ყოფნა! ასე არა, მაია?.. ა?

**მაია.** (რომელიც ფიჩხს ალაგებდა) კი, ბატონო, კი, მარა მაგას ვერ ვასწავლე ეს და ვერ დავაჯერე!

**ილია.** რატომ, რატომ, ტუფია?

**ტუფია.** ვაი, ჩემო ბატონო!.. მაგის დასწავლა არ გაგვიძნელდება!.. ჩვენდა უნებურად სულ მოთმინებაში არა ვართ, ბატონო?!.. მაგრამ რო არაფერი გამოდის!.. მოთმინებაც გვეკარგება, ჩემო ბატონო!

**ილია.** იმედი ხომ გრჩება?

**ტუფია.** რისი იმედი, რისი იმედი, ჩემო ბატონო? რისი იმედი მქონდეს, რა იმედი?! ჰე, მოთმინებითაც მეც კიდევ მოვითმენ, ოღონდ კაცი მყავდეს კარგათ!

**ილია.** როგორ, ავათაა ანტონა, თუ?

**ტუფია.** ავათაა, ბატონო, ავათ!.. აღარა ვარ ჯავრით! ეს ერთი ხანია ცუდათ გრძნობს თავს!.. ჩემს გონებაზე აღარ ვარ, რომ რამე უარესი შეემთხვეს, რომ დაგვივარდეს, რა გვეშველება, რამ დაგვარჩინოს! უამისოთ სისაწყლეში ვყრივართ!.. ვინ იქნება ჩვენი გამკითხავი, ჩვენი შემხედვარე!.. ჩვენი შემწყალე?!.. ჩვენი შემბრალე?..

**მაია.** რატომ ვინ იქნება? ღმერთი, შვილო, ღმერთი!..

**ტუფია.** ღმერთს ჩვენთვის არ ცალია ეტყობა.

**მაია.** ჩვენთვისაც მოიცლის... მოიცლის, შვილო!..

**ილია.** სად არის ეხლა ანტონა?

**ტუფია.** სად იქნება, ჩემო ბატონო? ყანაშია, ყანაშია, სამუშევარში!..

**ილია.** ავადმყოფ კაცს ყანაში რად უშვებთ, თქვე დალოცვილებო! უნდა დაასვენოთ!

**ტუფია.** უი მე, ჩემო ბატონო, ჩვენთვის დასვენება ვის გაუგონია!.. მიწას მივებარებით—აჰ, მაშინ იქნება ჩვენთვის დასვენება!.. სანამ ცოცხალი ვართ, რა დაგვასვენებს!.. ამდენი სამუშევარი, ამდენი საქნარი... სად შეგვიძლია დასვენებაზე ვიფიქროთ!.. წელზე ფეხს ვიდგამთ—მაინც გაჯახირებაში ვართ, დასვენებაზე ფიქრს მივეცეთ, სულ არ ამოვწყდებით?!.. ჩვენი დასვენება მიწაში იქნება, ჩემო ბატონო, მიწაში!..

**გამოსვლა 3.**

იგინივე და ამირანა.

**ტუფია.** (ამირანას რომ დაინახავს ჭიშკარში) უი მე, ეს ახლა მოდის?

**ამირანა.** (მოხუცებული ჯოხით ხელში. წალდი წელში აქვს გარჭობილი) დილა მშვიდობისა!.. დილამშვიდობისა, ბატონო ილია!.. დილა მშვიდობისა, ტუფია!..

**ილია.** ამირანას გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს ამირანას!..

**ტუფია.** შე კაცო, მე ყანაში მეგონე ანტონასთან, შენ კი აქ მოდიხარ!

**ამირანა.** აბა, აბა!.. მოხმარებას შევპირდი, მარა ამ დილას ამბავი მომიტანეს, მთაში პაწია ყანა მაქვს, საქონელს გადუჭამიაო... წევედი დასახედავათ... ნატავი არ მენახა... თელი ყანა სულ გოუხრებია ვიღაცას სულ წაწყმედილის საქონელს!.. ვერ გევიგე ვისი ყოფილა!.. გევიგებ კი... უნდა გევიგო!.. აბა კაცის ასე ამოგდება შეიძლება!.. რამ უნდა დამარჩინოს... ის იყო ჩემი იმედი, ჩემი საცხოვრებელი!.. თვარა უსათუოდ მოვეხმარებოდი, უსათუოდ!..

**ტუფია.** როდი შეგაწუხებდი, ამირანა, მარა, რა ვქნა, კაცი ულონოთაა, ვისაც ვთხოვე, არ გვცალიაო... სამარგლავი კი დაგვიგვიანდა... ველარაფერი გავაწყეთ!

**ამირანა.** უსათუოდ, უსათუოდ მევეხმარები!.. კარგათ ვერც მე ვარ, მარა... რა ვქნათ... უსათუოდ მევეხმარები!..

**ტუფია.** ძალიან დაგიმადლე, ამირანა... მეტი აღარ შეიძლება!..

**დ. კლდიაშვილი.**

(დასასრული იქნება).

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩ. სტამბა „შრომა". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.